პ ა ნ დ ო რ ე. — რომ პრომეთეს მაგიერ შენ ყოფილიყავი გმირი, მაგრამ ის რა ღირსია, ოო, ის სძაგელი, ზეესის ამბობი. (სხვა ტონით) შენ მოსაზრება რატომ არა გაქვს?

ე პ ი მ ე თ ე. — (გალაღებით) სამაგიეროდ, ტვინი მაქვს, მარჯვნივ და მარცხნივ.

პ ა ნ დ ო რ ე. — ჩუმად! ამ გალეშილებს ვერც ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ ეპიმეთე ხარ.

ე პ ი მ ე თ ე. — წეღან თქვეს, — ბრძენსა და სულელს ერთმანეთისგან ვერაფრით ვარჩევთო.

პ ა ნ დ ო რ ე. — ვიღა გაარჩევს, ღვინით ჰაერს აქაურობა, იჩქარე-მეთქი!

ე პ ი მ ე თ ე. — საით გავიქცეთ?

პ ა ნ დ ო რ ე. — სახლში!..

ე პ ი მ ე თ ე. — ბორკილები?

პ ა ნ დ ო რ ე. — ჰა, მგონი შეგხსენი ზეციური ბორკილებია, ზედ ჰეფესტოს ნიშანი აზის, იჩქარე, ასე, ახლა მე დამადე ეს ბორკილები!

ე პ ი მ ე თ ე. — შენ ჩემი ხელით?!..

პ ა ნ დ ო რ ე. — ჩუმად, ოღონდ კი ჩქარა. ასე, კარგია, ახლა კი გაჩერ!.. შენ არც ისეთი სულელი ხარ, რომ გმირობა შეძლო! მე ქმარი მინდა, ტკეთ იარე!... მოდი, გაკოცო, ასე...

ე პ ი მ ე თ ე. — ერთად გავიქცეთ!..

პ ა ნ დ ო რ ე. — ერთად სირბილს, ნეტა კი რა სჯობს, მაგრამ ლოცთები ზეესის ბრძანებას არ დაადგებენ. დევნა იციან. (საკუთარ მანდილს ეპიმეთეს თავზე შემოახვევს).

ე პ ი მ ე თ ე. (შიშით) ერთსაც მე გაკოცებ.

პ ა ნ დ ო რ ე. — იჩქარე, გაკრი!... ბილიკს უქციე, ვინცა ხარ, ის იძახე, პრომეთე არ თქვა!

ე პ ი მ ე თ ე. — ეპიმეთე ვარ, იმის სახელს როგორ ვახსენებ. (ეპიმეთე სიბნელეში მიიმალება, პანდორე ერთს კი ამოიკვნესებს და ეპიმეთეს ნაწოლზე უზრუნველად გაიშოტება, ვიღაცის გავაზე თავს ისე დადებს, როგორც ეპიმეთეს ედო. სხვათა სუნთქვას თავისი წიწინა სუნთქვა შეუერთია, ცალი თვალით იმზირება, წიწინებს, თითქოს ჰაერს წამლავსო. სილენოსმა გვერდი შეიბრუნა, პრიაპოსმა თავი დაიფხანა, და მერე, ყველანი რწყიალაბენებიანი ატოკდებიან. სილენოსი თვალგაუხელლად წამოჯდება, პრიაპოსი რაღაც მწერს ეძებს, ხელით ფაფარობს, სხვებიც გაწბილებულები იყურებიან. წამოჯდება პანდორე, ვითომ ძილღვიძილშია, გამომწვევად სდუმს).

პ რ ი ა პ ო ს ი. — ა!.. სილენოს!..

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — რაო?

პ რ ი ა პ ო ს ი. — ქალი?!.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ჰო... ჭეშმარიტად!

პ ა ნ დ ო რ ე. — სად ხედავთ?

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — პრიაპოს!..

პ რ ი ა პ ო ს ი. — ჰაო?

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ჩვენ გვეკითხება.

პ რ ი ა პ ო ს ი. — დათაფლული ხმით გვეკითხება. ქალია, ქალი!..

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — პანდემოსის სილამაზეა, იქნება, ის არის, აფროდიტე!

პ რ ი ა პ ო ს ი. — ე, იმ ადგილას პრომეთე იწვა, ალარ არის!...

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — შენ, ალბათ, გახსოვს, — დიდმა ზეესმა, მეხთამპყრობელმა, ჰერას თვალის ასახვევად, თავისი საყვარელი, მშვენიერი იო ძროხად გარდაქმნა.

პ რ ი ა პ ო ს ი.. — მახსოვს, სილენოს.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — შენ ისიც გახსოვს, ჩემო პრიაპოს, მაღალ ზეესს იმ ძროხასთან ჰქონდა კავშირი.

პ რ ი ა პ ო ს ი. — მახსოვს, სილენოს, მაშინ მამა ზეესი ხარად გარდაქმნა.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — მერე იყო თუ მანამდე, ჩემო პრიაპოს, დიონისემ მეზღვაურები დელფინებად გარდაქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ რ ი ა პ ო ს ი. — მახსოვს, სილენოს.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — მერე იყო თუ მანამდე, ბეოტიაში ალბანეთ-ნინეგ მინოსის ქალიშვილები ღამურებად გარდაქმნა და შალის ძაფი სულ ვენახებად აქცია.

პ რ ი ა პ ო ს ი. — სულელებად მახსოვს.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ჰოდა, ეს არის, კიდევ ერთი სასწაული. რა გქვია, შენ? შენ გეკითხები?!..

პ ა ნ დ ო რ ე. — პრომეთეა...

ს ი ლ ე ნ ო ს ი. (პანდორესთან მიფორთხდება) კიი!.. ჰეფესტოს ხელით ნაბედი ბორკილები ასხია ხელზე. (დიონისე იღიმის) დიონისე ბაკქმა, მამა ზეესის სახელგანთქმული ძეო, რა-გორც შენ ბძანე, სწორედ ისეა, — მამა ზეესის მტერი პრომეთე გარდაიქმნა იმ დედაკაცად... რა გქვია, შენ?

პ ა ნ დ ო რ ე. — რამდენჯერ ვთქვა, პრომეთე!

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — (თვალს არ უჯერებს) აბა, აისე-დაისი ხელები ტანზე, გავაზე და ძუძუებზე!

პ ა ნ დ ო რ ე. — როგორ მიბედავ!..

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ოღონდ, ხელები აისე-დაისი ძუძუებზე!

პ ა ნ დ ო რ ე. — მე ტანები ვარ!...

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — გეუბნები, აისე-დაისი!

პ ა ნ დ ო რ ე. — ალარ გაჩუმდები?!

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — შემოახლი!...

პ ა ნ დ ო რ ე. — არ მომეკაროთ. (დათაფლული ხმით) ავის-დავისვამ ჩემს ხელებს ჩემს ტანზე და მერე მკერდზე, სარეკ არა გაქვთ?

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — შემოახიეთ!..

პ ა ნ დ ო რ ე. — ეს რა მოუვათ?! ნუთუ, ის სძაგელი დედაკაცი ვარ?!

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — (ზეაღტაცებით წრეს უკლიან) ქალი ყოფილა, ქალია, ქალი!... უჩქმეტეთ, უკბინეთ, უბწყინეთ!...

პ ა ნ დ ო რ ე. — არ მომეკაროთ!...

დ ი ო ნ ი ს ე. — (საბოლოოდ გამოფხიზლებული) გამოვსეთ ჯამი!... კიი, პანდემოსის სილამაზეა.

პ ა ნ დ ო რ ე. — ოო, შე ლოთო, შფოთო, პანდემოსადაც რომ გეჩვენები.

დ ი ო ნ ი ს ე. — ვინ ხარ, დედაკაცო?

პ ა ნ დ ო რ ე. — ვითომ არ იცი, ზეესისაო თუ კიდევ ვიღაცის შვილო. პრომეთეა ვიყავი და დედაკაცად გარდამქმენი. იმ სძაგელ პანდორად, ჰეფესტომ რომ შეთითხნა — წყლისა და მიწისგან შეზნელილი ჭირი და სნეება, ბოროტების ბუდე, სულელ ეპიმეთეს რომ შერთო ზეესმა.

დ ი ო ნ ი ს ე. — დედაკაციანი ნუ წიწინებს!..

პ ა ნ დ ო რ ე. — ეს რა მიუვი, პანდორად როგორ გამიმეტე — ხარად ან ლომად გარდაგექმენი?!

დ ი ო ნ ი ს ე. — („სასწაულს“ თავისად შეიფერებს) ოო, ხარად ან ლომად მეტისმეტია. ლომად მე ჩემი თავი გარდავქმენ და ისიც ერთხელ: შენ, ზეესის მოღალატე — შემეძლო თაგვად ან კატად გადამქცეიე. იმას დამჯერდი, რაც მოგისაჯე. გძულდეს პანდორე და იმ დამპალ პანდორედ გარდაგსახე.

პ ა ნ დ ო რ ე. — მართლა დამპალო, უწყალო ღვინით აყრილებულო, პატნის წვეთით განიბანე, როცა პანდორს ახსენებ, დამიბრუნე მე ჩემი სახე!...

დ ი ო ნ ი ს ე. — შენი გასამართლებაც ამით დამთავრდა, ასე პანდორესავით იარე ქვეყნად. უდიდესი სასჯელი გერგო, მამა ზეესი დაიფიცა, იგი მიხვდება, რომ პირველი მოსამართლე ვარ.

პ ა ნ დ ო რ ე. — ისევმე ბებია გიცხონდება, შე ლოთო, იდიოტო!

დ ი ო ნ ი ს ე. — (ჩვეული გულგრილობით) ყბედიც ყოფილხარ, ბოზო, მეორედ ხომ ალარ დაგსჯი. (სხვებს) აიყარენო!... შენ, ჰეი, რეგვენო გოლიათო, ლოტოსის ფოთოლს მარტო შენ ღეჭავ?

გ ო ლ ი ა თ ი. — ისინი ყრუ-მუნჯები არიან, აზრად არ მოსდით, პირუტყვისაგან რომ გასხვავდებიან.

დ ი ო ნ ი ს ე. — ჰა, კიდევ ნახეკარი ფოთოლი, მზის ამოსვლამდე თუ დალეჭავ, მგონი, დაგავიწყდეს მთელი წარსული.

გ ო ლ ი ა თ ი. — აბა რად მინდა წარსული, თუ პირუტყვივით უშიშარი ვარ.

დ ი ო ნ ი ს ი. — სილენოს, პანდორად გარდაქმნილი პრომეთე ბედის ანაბარად დაეტოვოთ ტყეში თუ თან წავიყვანოთ, ("ამ ზევსს რაღასთვის უნდა ერთხელ დასჯილი?

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — უნდა! ოლიმპოს ბორკილი ასხია ხელზე. — აბა რა ვიცი, რა მოუვლის მეუფეს თავში — იქნება შეუიცვალოს სხვა რამ სასჯელით, კაცად გარდაქმნას ან ისევ, როგორც იყო, ალადგინოს იმ ძველ ფორმაში.

დ ი ო ნ ი ს ი. — (ამალას) წავედით!... პრომეთე შუაშია!...

პ ა ნ დ ო რ ე. — შენ, ჰეი, ბრიყვო, მარგარეტესების სახელოვანო გოლიათო, ლოტოს ლეკვი ვიდრე ბოლომდე გამოიკვლევ, ჰა, იმ ყრუ-მუნჯებსაც თითო ვერცხლი ჩაურიგე!

გ ო ლ ი ა თ ი. — დიდებულია, რა მევალება ამ ვერცხლის პატრონს?

პ ა ნ დ ო რ ე. — საჩუმათო არაფერი მაქვს. დიონისემ, როგორც ხედავთ, პანდორად გარდამქმნა. ახლა ბევრი ვინმე მოინდომებს პრომეთეობას. ვინც პირველმა თქვას, — პრომეთე ვარო, მოკალით!... კოკიტის შავ ტალღებს გაატანეთ, ძალლივით დაბრჩენეთ, ქვა ჩამოკიდეთ.

(დიონისეს მიუბრუნდება) აბა, ლოთო, ოლიმპოსაკენ!.. (ხელებს გაითავისუფლებს, ბორკილებს მიწაზე დაყრის. დიონისე და ამალა პანდორეს ბადრაგად მიყვებიან, გადიან. გოლიათი და ყრუ-მუნჯები ბაქანალების სიმღერას უგდებენ ყურს).

გ ო ლ ი ა თ ი. — (ყრუ-მუნჯებს) ხედავთ, სიცრუეს გაუუუნდა კაცი და ღმერთი. ამიერიდან ლიმპოთლისათვის ატყდება დაკა.

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (ბრაზიანად ხელებს იქნევენ, — სხვის ამბავზე ნუ გადაგაქეს საუბარიო).

გ ო ლ ი ა თ ი. — დაბურულ ტყეში რისთვის გგრძედებათ? მე ტყავის ჯიბე მაქვს. გაჩუ"დით, თქვენი ვერცხლი ჩემ ჯიბეშია.

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (ტუმაყოფილების ნიშნად აზიუელდებიან).

გ ო ლ ი ა თ ი. — ჯერ მოვკლათ, საფასურს მერე მიიღებთ, ვინ მომცა? ნეტავ, ვინ მომცა, ქრება წარსული, სულ დამავიწყდა, ვინ უნდა მოვკლათ? მუნჯებო, ხმა ამოიღგთ: ო, ის ლოტოსი — სულ გამოვტვინდი. ვინ უნდა მოვკლათ ამ სამი ვერცხლით?!.

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. (ნიშნებითა და რაღაც ბგერებით ეუბნებიანან, — ქალმა გითხრა, კაცი მოკალიო).

გ ო ლ ი ა თ ი. — მერე, რით უნდა მოვკლათ, რა გვაქვს. რა დგვიტოვა, არც მახვილი, არც სატევარი, ("არტო კოშბალით — კისერზე ქვის დასაკიდი თოკიც არა გვაქვს.

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (ანიშნებენ ღონე გვაქვსო, სამი ერთს მოვახრჩობთო, კისერში ხელებს ეტაკებთო).

გ ო ლ ი ა თ ი. — პირში თუ სული უდგას, ჰო! თუ უსულოა, როგორ მოახრჩობთ?

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. (ახმეულდებიან, მუქარის ნიშნად ქვებს ხელს წამოაღლებენ).

გ ო ლ ი ა თ ი. შეჩერდით, ქვას მეც ვიშოვი!.. (ქვის ასაღებად მიწაზე დაიხრება და ბორკილებს წაიწყდება) ბორკილები!... ხედავთ, გამომიგზავნა მაღალმა ზეუსმა. მე ("ეფე ვარ, კოკიტუს სანაპიროს მეფე. აი, საბუთი!... (ამბილი ბოსლიკაკს) ოქროა, სპილენძი, ბრინჯაო, რკალი?! მეზთამპურობელმა ჩამომიგდო ცის ნახვრეტიდან. დახედეთ, ზეციური ნიშანი აზუს. ამიერიდან მეფე ვარ! კოკიტის სანაპიროს მეფე, ფ თქვენ ბრძოლეთ, როგორც მონები, სამიე ვერცხლი მეფეს მეკუთვნის! დაირიკეთ!...

შემოდის პრომეთი

შენ ვინ ხარ, სადაური?

პ რ ო მ ე თ ე. — პრომეთე ვარ.

გ ო ლ ი ა თ ი. — პრომეთეო? (ყრუ-მუნჯებს) რომ აღარ მახსოვს?

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (ანიშნებენ, პრომეთეს მოსაკლავად ვერცხლი მოგაცესო).

გ ო ლ ი ა თ ი. — მაშ, ის კაცი ხარ, ამ ქალის შემდეგ ვინც პირველმა თქვა — პრომეთე ვარო?

პ რ ო მ ე თ ე. — თუ პრომეთე ვარ, ჩემს სახელსაც პირველად ვიტყვი.

გ ო ლ ი ა თ ი. — (ყრუ-მუნჯებს) შემახსენეთ, მერე რა მოხდა?

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (ხელების მოძრაობით და ბგერებით ეუბნ ბ-ნ-ნ, რაც მოხდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო ლ ი ა თ ი. — ჰო, კმარა, მომაგონდა, პრომეთე-კაცი ("ბორ ქმნა დედაკაცად.

პ რ ო მ ე თ ე. — ალბათ, პანდორედ?

გ ო ლ ი ა თ ი. — სწორედ, პანდორედ, და იმას იქით ვინც იტყვი, პრომეთე ვარო — ჩვენ უნდა მოვკლათ, ვერცხლი მივიღეთ.

პ რ ო მ ე თ ე. — არა, მკვლელობას თქვენ არ ჩაიდენთ. მე ის კაცი ვარ, ვინც ოლიმპიელებს მოვტაცე ცეცხლი. თქვენ მოგტანეთ; სინათლე დედგი, შემწეკარ ბორკს სჭამენ ახლა ქოხებში.

გ ო ლ ი ა თ ი. — ახწავლე წიგნი, პირველი ხომალდიც შენ აუშენე?

პ რ ო მ ე თ ე. — აფრაც ავუშენი. რკინის დნობა, რვალის კეთებაც ჩემგან ისწავლეთო, გარეული ხარს მე დავადგი მძიმე უღელი, ცხენიც მოვთრგუნე, ეტლში შევაბი.

გ ო ლ ი ა თ ი. — დაიფიცე, რომ არა სტყუი.

პ რ ო მ ე თ ე. — ვფიცავ, დედაჩემის, დიდი აზიის წმინდა სახელს, რომ სიკეთისათვის მე მუდამ მღვიძავს.

გ ო ლ ი ა თ ი. (ეგზალტირებული) ეჰეე, ყრუ-მუნჯებო, შეიპყარით ღვთის მოღალატე პრომეთეოსი!

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (აღშფოთდებიან, წინააღმდეგობენ, — კი არ უნდა მივგვაროთ, აქვე უნდა მოვკლათ).

გ ო ლ ი ა თ ი. — მაშ, მოვკლათ? მგონი, ახე ხჯობს.

პ რ ო მ ე თ ე. — ადამიანებო, შეჩერდით!.. ჩემი სისხლის ხართ!

გ ო ლ ი ა თ ი. — ვინ დაგავალა?

ყ რ უ-მ უ ნ ჯ ე ბ ი. — (აგრეთვე ეკითხებიან, — ვინ დაგავალაო).

გ ო ლ ი ა თ ი. — რას დამუნჯდი?! შენ გეკითხები, კაცის გაჩენა ვინ დაგავალა?! ("ეჰეე, ხმას ვეღარ იღებ, ვინ დაგავალა ამ უსუსური მუნჯების შექმნა, ან მე ეს გოლიათი რეგვენი რად გამაჩინე. კაცის გაჩენა ვინ დაგავალა?!..

პ რ ო მ ე თ ე. — მამაშენს ჰკითხე.

გ ო ლ ი ა თ ი. — მამაჩემს მოეშვი. იმ პირველ თესლში ზნის მუნჯი, რეგვენი, ბრძენი. რატომ უკეთესი არ გააჩინე?!..

პ რ ო მ ე თ ე. — რაც შემეძლო, ის გავაკეთე.

გ ო ლ ი ა თ ი. რაებს მიჰკრავ!... ახე ხომ დედაკაცები ამბობენ,— უკეთესი არ გამოცხვაო.

პ რ ო მ ე თ ე. — ამიტომ შემოვიღე წიგნი და კაკი, ხარზე უღელი.

გ ო ლ ი ა თ ი. — ვინ დაგავალა-მეთქი, რამდენჯერ გეკითხები?!..

პ რ ო მ ე თ ე. — ჩემით მოვიფიქრე.

გ ო ლ ი ა თ ი. — ესე იგი, ადამიანის გაჩენაში ღმერთი არა ჩანს?

პ რ ო მ ე თ ე. — არა!..

გ ო ლ ი ა თ ი. — ღვთის ღალატია, ჩაქოლეთ, ჩქარა!...

პ რ ო მ ე თ ე. — არ მომეკართ, სულს გაგაფრთხობინებთ!

გ ო ლ ი ა თ ი. — ახლა რას იტყვი, პრომეთეს შეხაკერობი ბორკილებია!... კარგად დაბედე... კოკიტის სანაპიროს მეფე ვარ, ხელები გამომიწოდე: შენ ის პრომეთე არა ხარ, ხამი ვერცხლის ფასად რომ უნდა მოკვდეს. მამა ზეუსი ერთ მუქს გადიხდის, (პრომეთე დაჯდება) ადექი, ერთად წავიდეთ!

პ რ ო მ ე თ ე. — გოლიათო რეგვენო, პირობას გაძლევ, ვნებავს, ფიცს დაგდებ, რომ ჩემით ავალ იმ სამსჯავროზე! ნუ გამომყვებით!

გ ო ლ ი ა თ ი. — ხელები-მეთქი, რომ დაგასხა ზედ ბორკილები!

პ რ ო მ ე თ ე. — თქვენი მტრობა მომიღებს ბოლოს, სხვა არაფერი.

გ ო ლ ი ა თ ი. — ლოტოსი ვლეკე და მაინც მახსოვს: შემქმნელს შექმნილი მოუღებს ბოლოს, ზეკსმაც ისა ქნა — დაამხო მშობელი მამა. შენც შენი შექმნილი დაგხსნის, ხელები!... დიდი სამეფოს ბორკილებია, შენც კარგად ხედავ, ნიშანი ანის, გამომიწოდე!

პ რ ო მ ე თ ე. — უმაგისოდაც ამოვალ მაღლა, თუ არ ვიჩქარე, ჩემს მაგიერ სხვას დატანჯავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო ლ ი ა ნ თ ი. ოღონდ ხელები გამომიწოდე. ყრუ-მუნჯებიც ამასა გთხოვენ. ყველა ბლანაკის სახელით გენოცვენი, გეხვეწები, დამახსნეთ ხელზე ბორკილი, ჩვენც მადლობელი დაგრჩებით — მამა ზევსი მუკად ვერცხლს ჩაგვიყრის ხელში. (პრომეთემ ხელები გაუწოდა. ბორკილენ) ო, რა კეთილი ხარ, რა ძლიერ გიყვარს შენი შექმნილი ადამიანი. აბა, სულ ამ გზით, მაღლა!... რას გიიხარებს მაღალი ზევსი — რისხვაც გაუვლის.

ე პ ი მ ე თ ე. — (ხეს მიფარებული თავს გამოყოფს).
პრომეთე, ძამიკო, სად მივდივარო?

პ რ ო მ ე თ ე. — შენს გამოსახსნელად გამოვიქეცი და ამ საცოდავებს გადავეყარე. ამ სიშორეზე შენ აქ რა გინდა?

ე პ ი მ ე თ ე. — გზას ეელარ ვიკლევე, აღარც პანდორე!...

პ რ ო მ ე თ ე. — თვითონ გიპოვის, არ დაიბნევა.

ე პ ი მ ე თ ე. — ხელზე ბორკილი?!

პ რ ო მ ე თ ე. — ზევსთან მივდივარ, მაღლა.

ე პ ი მ ე თ ე. — ბედნიერი ხარ. ჯერ ნექტარს შესვამ, მერე ამბროზიას შეგაჭმევს ზევსი.

პ რ ო მ ე თ ე. — ახალი ხანა დაიწყო, ძმაო...

ე პ ი მ ე თ ე. — (გონს მოეგება) სიკვდილს ხომ არ გიპირებენ?!..

პ რ ო მ ე თ ე. — არა, კავკასიაში გამამახლებენ.

ე პ ი მ ე თ ე — რა უბარს მერე, იალბუზზე მაერს აქებენ; მგონი, არ მოგწონხს! გინდა, გიშველი?

პ რ ო მ ე თ ე. — შინ წადი ჩქარა, ჯარგვალს მიხედე!

ე პ ი მ ე თ ე. — ერთსაც გადაეეხეევი.

გ ო ლ ი ა ნ თ ი. — (წინ დაუდგება) აბა, აბა, აბა, არ მიეკარო!..

(პრომეთე, ყრუ-მუნჯები და გოლიათი ერთი გზით მიდიან).

სცენაზეა ეპიმეთე

ე პ ი მ ე თ ე. — სულ დედაჩემის ბრალია, ორი სულელი რომ გაეჩინა, არაფერიც არ მოხდებოდა. შინ ვიქნებოდით, ჯარგვალში, ყველა! (გასძახებს შეშინებული) პანდორე, ჩემო!.. ძმაო, ამ ულარანში ხომ შეიძლება, მგელმა შემჭამოს, აუ, გაიშლიგანან!... კურდღელი!
(პრომეთეს გზით გარბის).

სინათლე ქრება

სურათი მეოთხე

ოლიმპოს მთა. პირველი სურათის განლაგება. ტახტი. შემოდიან ქარიტები.

ე ფ რ ო. — ბაკქანალები!...

თ ა ლ ი ა. — და ვიღაცები!...

ა გ ლ ა ი. — სიდარბაისლეს არ ეღალატოთ! ახლა იწყება პირველი კაცის გასაძარცლება... თორემ, ხომ გახსოვს, თალია, მეორე ფეხსაც მიგაშვებენ!

თ ა ლ ი ა. — მე წესიერი ქალი ვარ.

ა გ ლ ა ი — ლოთებზედაც თვალი გაგარბიბ.

თ ა ლ ი ა. — შენ თვითონ — ბუჩქებში კოტრიალობ მწუემსის ბიჭებთან.

ა გ ლ ა ი. — კიდევაც დამდევ, მზვერავ?!.
(გაიწევს).

ე ფ რ ო. — რას ატეხილხართ!..

გამოჩნდება მომოსი

მ ო მ ო ს ი. — ჰაუ, კახპებო!... გარკვევით გამოთქვით ყოველი სიტყვა, ღმერთს ეს ერთი გაუჩენია, რითაც განვსხვავდებით პირუტყვისაგან, რას გამოშტერდი, ენა დაგება?!.

ა გ ლ ა ი. — აბა, რა ვქნა, ბაკქანალებს პრომეთე მოპყავთ.

მ ო მ ო ს ი. — ლოთებს დანებდა?!

ა გ ლ ა ი. — გარდაქმნილი პრომეთე მოპყავთ!..

მ ო მ ო ს ი. — ხასწაული არაფერი თქვა.

ა გ ლ ა ი. — პანდორეა მისი ხახელი.

მ ო მ ო ს ი. — ლოთებმა ბრძენი დედაკაცად გარდაქმნეს... დაიჯერებს?!.

თ ა ლ ი ა. — აჰა, ისინი!..

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — ეჰეეი!..
(ბორი გზით გასავთებული, მზითა და ღვინით დატვირთული ბაკქები მიწაზე დაცვივდებიან, მათ შორისაა პანდორე).

პ ა ნ დ ო რ ე. — რაო, შე ყმედო, ავეია მომოს, მაგ ჩამოხეულ ტუზზე გიცანი. თვალებსაც ეუტავ, რად მოშაშტერდი. არ გჯერა, ჰა, ეგეოხები?!...

მ ო მ ო ს ი. — რაო, ბარემაც თქვი.

პ ა ნ დ ო რ ე. — პრიმლეთე ვარ!.

მ ო მ ო ს ი.— დამპალო ღედაკაცო, სიცრუესაც სიგრძე-განა აქვს. (სხვებს) რო-ელმა თქვა, ეს ღედაკაცი პრომეთეაო?

დ ი ო ნ ი ს ე. — თვითონ ამბობს, გაკრა პრომეთე და იმის მაგერ ეს დაჯდა — როკაპი, ნავსი, ბორკილდასხმული. რა უკეთესი ის ბორკილები?

პ ა ნ დ ო რ ე. — მაბიკო ზევსმა მომმსხლეს ხელიდან; ეტყდი, ეკნეს, ხელწერილითაც ჩამბარე, ჰა? (ეითომ ატირებული) ქმარი ამწარანეს!...

მ ო მ ო ს ი. — სულელი ეპიმეთე?

პ ა ნ დ ო რ ე. — სულელია შენთვის, შე ყიაყმარალო, ჩემთვის ქმარია, კაცი გაკრეს, ეხეკი არ მაკმარეს, მთელი გზა — პრომეთე ხარო, მაეკირეს.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — თვითონ ყეირიდი!...

დ ი ო ნ ი ს ე. — იმ ჯარგვალში, იმ შენს ეზოდან ვიღაც უნვერულვაშო რო გაგვატანე, ეკბინე კიდეც, ვინ იყო იგი?

პ ა ნ დ ო რ ე. — უწყალო ღვინით აყროლებულო, ძლივ ნაკუნებით გაკეერილ-გამოკეერილო... (მომოსს) ჯერ ქმარი გამიუბედურეს, სადღაც, კოკიტის სანაპიროზე ეუნჯებმა ჩაკლეს. ჰა, მერე რა ჰქნეს?

დ ი ო ნ ი ს ე. — ჰო, რა ჰქნეს, მომაგონე, შენც ხომ ლოტოსი არ გიკონხია.

მ ო მ ო ს ი. — ქმარი თუ ჩაკლეს, მაშასადამე, ცოლი ყოფილხარ— ცოლი — პანდორე.

პ ა ნ დ ო რ ე. — კაცობრიობის ბებია ხარო, მომკლეს, მაწამეს, ბორკილები დამასხეს ხელზე.

მ ო მ ო ს ი. — ხაბოლოოდ ვინ ვარო, ქალო?

პ ა ნ დ ო რ ე. — პრომეთე ვარ!...

მ ო მ ო ს ი. — (დიონისეს) გარდაქმენი?..

დ ი ო ნ ი ს ე. — კი! გამაცოფა, ვიდრე კაცი იყო — წვერგაპარსული სულ დამცინოდა,

მ ო მ ო ს ი. — წვერგაპარსული?!.

დ ი ო ნ ი ს ე. — სწორედ. სულელსა და ბრძენს შორის სად ძევს საზღვარიო, — მკითხა და — გარდიქმნა პანდორედ.

მ ო მ ო ს ი.— ვიდრე მამა ზევსი შემოვიდოდეს, გარდაქმნილი პანდორედ ხელახლა გარდმოქმენი პრომეთედ, რომ მეუფე მამრმა, მამრნან შერკინებით გული იჯეროს.

დ ი ო ნ ი ს ე. — ა, სილენოს, რა ვუპასუხო?!

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ის უთხარი, რაც კარგად იცი, კაცის ქალად გარდაქმნა ადვილიათქო, პირიქით — ძნელი. ნალდად დაგვაკლდება ზოგი ნაწილი.

დ ი ო ნ ი ს ე. — ჰო, ულვაში, წვერი...

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — და კიდევ ერთი...
(დანარჩენს ყურში ეუბნება).

მ ო მ ო ს ი. — შენ, ერთხელ ლომად რომ გარდაიქმენი, სწორედ იმ წესით გარდმოქმენი.

დ ი ო ნ ი ს ე. — მე მამალი მამრად გარდავიქმენი, ქალი კაცად— არ გამოგვივა.

ს ი ლ ე ნ ო ს ი. — ერთხელაც იყო, მამა ზევსმა თქვა, მე არა მჯერა, მაგრამ თქვაო, — სისულელეაო ყველა გარდაქმნა, ახე რომ იყოს, პრომეთეს ქაიმად, კაბად გადავაქცევდი, ერთხელაც ცხენად — გავაჭენებდიო. (სხვა ტონით) ზევსის ხარად გარდაქმნა და იოსი — ძროხად. და მერე, ძროხისა და ხარის კავშირი სულ სიცრუეა. ყველა თაღლითობას ზევს მიაწერენ, რომ შიში შექმნანო. მე არა მჯერა, მაგრამ ასეა,

ქომოსი. — ბოლოს და ბოლოს, ვინ შეიპყარით?

პანდორე. — პრომეთე!

ქომოსი. — დიონისე, რაღაც მოიფიქრე, შემომაკვდება ეს დედაკაცი, — ზუზუნებს, ყარს, ფერუმარილით შეთითხნილია.

დიონისე. — პრომეთე ხარ?

პანდორე. — პრომეთე ვარ!..

დიონისე — ის ყვერგაპარსული რომ შემაჩერე. — პრომეთეო, — რა უყავი, სად გადამალე?

პანდორე. — აორთქლდა, გაქრა!

დიონისე. — (სხვებს) დაწვით კოცონზე!... გაიაღეთ დიდი კოცონი!

პანდორე. — რაებს მიპპარავ!...

დიონისე. — ცეცხლის ქურდობისათვის!... პრომეთე ხარ!

პანდორე. — (ზუზუნა ხმით) საყვარელო დიონი, მეორედ ხომ არ დამსჯი?

დიონისე. — ჩემი ნებაა, რამდენჯერაც მინდა, იმდენჯერ დაგსჯი. მომოს, ვინ განსაჯოს ეს დედაკაცი?..

ქომოსი. — ბაკქანალებმა — მენადებმა, სატირებმა, კახპებმა, ორგიების ღვთაებამ, დიდმა, პატარა ღმერთებმა, გაასამართლეთ!...

ბაკქანალები. — რა საპიროა ეს დიდი კრება, უბრალოდ დაწვით!

(სადღაც ალი ავარდა, ცეცხლი დაანთეს).

პანდორე. — ნაკუწ-ნაკუწ შეეტრიალო, სულ გამოტვინდი? რო ნწვავ, ვის საჭონელს მწვავ, მე რა შენი ხოხობი ვარ?!.. უმაღლესი ნომენკლატურისა ვარ, ზევსს შეეკითხე.

დიონისე. — აბა, რა ვქნა, ხომ გაიგონე, ქალის კაცად გარდაქმნა არა შეიძლებაო. დაწვით!

ბაკქანალები. — (საზეიმო ხმით)
დავლოოთ, დავლოოთ!
ღვინის მალამო,
მკერდში ცეცხლად დავანთოთ,
დავლოოთ!...
(ქვითა და კომბლით შეიარაღებული გოლიათისა და ყრუ-მუნჯების გარემოცვაში გამოჩნდება.

პრომეთე
მას უკან ეპიმეთე მოსდევს).

გოლიათი. — ოლიმპოს მაღალო ღმერთებო, მე შეკეპაური ზევსის ორგული ალეგეებული დიდი პრომეთეო! აბა, თითო ვერცხლი ჩამოდით ყველამ!... (ყრუ-მუნჯები აზმეულდებიან). მორჩა, ღმერთთა მეუფეს და მეხთამპყრობელს ამეკიდან მტერი არა ჰყავს!... მამა ზევსის მტერი დავამხეთ!... (ყრუ-მუნჯები აზმეულდებიან).

ბაკქანალები. — პრომეთე!.. პრომეთე!..

ეპიმეთე. — სულ დედაჩემის ბრალია: ორი სულელი რომ გაეჩინა, არაფერიც არ მოხდებოდა, შინ ვიქნებოდით, ჯარგვალში ყველა! სალამი დიდო და პაწაწუკა ღერთებო!... ძველებო და ახლებო, დიონისე, ძმო, მიცანი?

დიონისე. — როგორ არ გიცანი, მატრაბაზო, დალრეკილო ქლესა, შენ არ ყვიროდი, პრომეთე ვარო?!.

ეპიმეთე. — მაყვირებდნენ!..

პანდორე. — (ყალბი, ზუზუნა ხმით) ეპიმეთე, საყვარელო!

ეპიმეთე. — ჩემო ერთგულო პანდო! უთვალავჯერ უნდა გაკოცო, რატომ ჩავარდით ცეცხლში, ა, პანდო? ჯარგვალში ვიტუტუნებდით მარტო. პანდო, მარტო...

პანდორე. — გეყოფა, ჩუმად.

ეპიმეთე. — დიონისე, ძმაო, დავიჯერო, ოინბაზი ხარ?

დიონისე. — მაგ თავში ის ერთი თხლე გაქვს, სხვა არაფერი.

(შეეკვლიე კილოზე). პრომეთესთან, მარჯვნივ და მარცხნივ მაქვს ორი ტვინიო, რომლითაც დაისხი ბორკილი ხელზე?

ეპიმეთე. — პანდო, რა ვუპასუხო, პრომეთეს მაგიერ რა უნდა მექნა?

პანდორე. — გმირობა!

ეპიმეთე. — მერე, რატომ არ მაცალე, რა უნდა მექნა, ჰა, პანდო?

პანდორე. — ის უნდა გექნა, რაც პრომეთეა.

დიონისე. — ეს დედაკაცი ამ ერთი ბოზობისათვის დაწვით კოცონზე!

პანდორე. — ეპიმეთე, ცოლს გილანძღავენ!..

ეპიმეთე. — აბა, აბა, თუ ვაყაკი ხარ, მე მეკამათე!...

დიონისე. — კოცონზე!..

პანდორე. — (დიონისეს გაიხმობს, დათაფლული ხმით). შენ რა, ძამუკი, ვეღარა ხედები, პრომეთიებთან საგანგებოდ მოგზავნილი დედოფალი ვარ. იმ ეზოში დავცალ ნნება და ცოფი!... (წამლერებით) პანდორეს ყუთი!..

(ეფესტოსა და ორი ოქროს მონის გარემოცვაში
ზევსი გამოჩნდება
თავმდაბლად დაჯდება ტახტზე).

პანდორე. — (ეფესტოს) ჰეი, მამიკო!... ხომ გახსოვს, ზემო სამშედლოში მოცლილობის ჟამს რომ გამომძერნე?

ეფესტო. — ჰა, მერე რაო?..

პანდორე. — ეს მარგალტი, ფირუზი და საფირონი — სულ ღმერთების ნაჩუქრებია. (ტახტზე ზევსს თვალი მოჰკრა) ბაბუკა ზევსო, დემოკრატი ხარ, კოცონზე კი არა, მსაჯულად დამსვი!

ზევსი. — კუდს გამოაბამენ.

პანდორე. — (დაშაქრული ზუზუნით) — საყოდიანო, აბა, რა არის?! შენი ბადაში ვარ. პრომეთე მაზლია ჩემი. ობიექტურად განვსჯი. (სხვა ტონით) პრიაპოს, სიგარეტი მომაწოდე, ასანთს გაჰკარი.

(პრიაპოსმა სანთებელს გაპკრა, პანდორემ გააბოლა).

ზევსი. — დამინიშნიხარ!

ეპიმეთე. — რატომ ჩამოგტირით სუყველას სახე?

ქომოსი. — ჩუმად, ალამიანი ღმერთს შეერკინა!... კრაზანების ხმა გაეგონეთ! ისმის?

ბაკქანალები. — ჰა, კრაზანების ხმა!... ჰა, კრაზანები, ისმის!...

ქომოსი. — მამა ღმერთი ვარაუდშია. რაო, რას ფიქრობ უზენაესო, ღმერთების მეფევ?

ზევსი. — მოსამართლედ ვინ დავნიშნოთ, მრავალი თუ მე — ერთი?

ქომოსი. — მამა ზევსი, მეხთამპყრობელი და კანონმდებელი ბეკეთხლება, მე გაგახამართლო თუ ხალხმაო.

პრომეთე. — ზევსმა.

ქომოსი. — ზევსმა?!

პრომეთე. — ზევსმა.

ქომოსი. — ნეტა კი ხალხს, მუშტიკივი რომ ზის, რატომ აძლევ აცილებას? ხედავ, ზოგს დედა და ზოგსაც მამა მოყვდავები ჰყავთ, მოგემხრობიან.

პრომეთე. — თითსაც არ გაანძრევენ.

ქომოსი. — რაღას გერჩიან?

პრომეთე. — მივეცი ცეცხლი, შევაჩვიე კეთილ ცხოვრებას, აღარ ვჭირდები.

ქომოსი. — სწორედ ამიტომ, რაც ჩამოთვალე, ხალხს რომ მიეცი, მამა ღმერთი სასტიკად დაგსჯის!

პრომეთე. — სასტიკად დამსჯის, მაგრამ ვერ მომკლავს, ზევსს უჩემობა აპ შეუძლია. ესენი კი, ამათ რომ ხედავ, თავდრეკია თითლიბაზები, მამა ზევსის შიშით მომკლავენ.

ქომოსი. — ზევსიც ხომ შენი შექმნილია?

პრომეთე. — მე კაცმან შექმენ ყოველი!...

ზევსი. — (ვეღარ მოითმენს) შენ?!.

პრომეთე. დაგავიწყდა, ქვეშ რომ იფსადი?...

ზ ე ვ ს ი. — (თითქმის თავისთვის) ბავშვობაში ვინ არ იფსამდა!

მ ო მ ო ს ი. — ახლა კი ვეღარ გადაურჩები, იფსამდაო!... გესმით, ღმერთთა მეფე იფსამდაო!

ზ ე ვ ს ი. — გაჩუმდი მაინც!...

პ რ ო მ ე თ ე. — (ზევსს) გამასამართლე!..
(ზევსი შეირხა, შეირხევა კვერთხი და ეგდე, მაღლა ზეცაზე მცირე ქუხილი გადავიღის).

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — მრისხანეს ზევსო!... როდის ავროკდეთ, ახლა, წინასწარ, თუ როცა მოკლავს?..
(კვლავ კვერთხი შეარხია და ზეცაზე მცირე ქუხილია გადაიარა).

ზ ე ვ ს ი — (თავი ისე უჭირავს, თითქოს მომთხს ესაუბრება). პრომეთეი იაპეტის ძეს, ერთ დროს ტიტანმა, მერე ერთგულმა გიგანტმა საკუთარ შვილსა და რძალს წარღვნა გაანდო, გამეცა.

მ ო მ ო ს ი. — შენც ამას იზამდი.

ზ ე ვ ს ი. — და იმ წყვილისგან შექმნა კაცობრიობა.

მ ო მ ო ს ი. — შენც ამას იზამდი.

ზ ე ვ ს ი. — ის გაკეთა, რაც ერთხელ ნოემ, თავისი ნათესავებით არარატის მთაზე რომ ამოჰყო თავი.

მ ო მ ო ს ი. — შენც ამას იზამდი, იმ კიდობანით არარატზე თავს ამოყოფდი.

ზ ე ვ ს ი. — ებრაელების ღმერთმა თვითონ შესთავაზა, ნოეს გაენდო, — ამან ჩემგან ფარულად თავისთვის შექმნა კაცობრიობა.

მ ო მ ო ს ი. — ებრაელების ღმერთი ერთი გულუბრყვილო ებრაელი იყო. ქეკ-ეკუნილისა და ელექტრობის არაფერი გიგეგბოდა. ის რა ცეცხლი იყო — შიშველი ხელით უდანნობა ბუჩქს წაუკიდა შენ, შენი ელექტრო ჯოკეი სასახლეები ფერფლად აქცია. შენმა ტექნიკამ სხვები გააბორტა და, პრომეთეცმაც ცეცხლი დაგვანცლა.

ზ ე ვ ს ი. — დავწვავ!..

მ ო მ ო ს ი. — ძველად, განსაცდელის ჟამს, ტიტანებთან ცხარე ომობოლში, როცა ბეწვზე ეკიდე, პრომეთე შენ მოგეზრო. გაგალმერთა, კეკრთხი მოგცა, მეტი რა გინდა?

ზ ე ვ ს ი. — ვალში არა ვარ, ღმერთად დავნიშნე.

მ ო მ ო ს ი. — ღმერთის ტიტულით ჩვენს ოლიმპოზე ვინ არ ყოფილობს, მათ შორის ბევრი ნაბიჭვარია.

ზ ე ვ ს ი.— ოღონდ, ნაბიჭვრებს მოეშვი!

მ ო მ ო ს ი. — რომელი ერთი, აგერ ხპარსელი, ჭრელ პიჟამოში რომ დაჩაკუნობს, ზოგიც ჩვენს ენაზე ძლივს რომ დუღდუღუებს. პრომეთე დამარცხებული ხალხის ბელადია, შენს მოსვლამდე ჭაკორების მეკიცე პატრონი, სწორედ ამიტომ დამარცხებულს ერთი ტაძარიც კი არ აუშენეს. ნუ მოსლავ, იქ მიაგდე, სადაც მისი მოძმენი ხახლობენ — კავკასიაში, იმ კლდეზე სადმე.

ზ ე ვ ს ი. — მაშ, აღარ მოვკლა?

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — მოკალი!... მოკალი!..

მ ო მ ო ს ი. — გაჩუმდით!... რა წესია მოკლას შემქმნელი?!..

ზ ე ვ ს ი. — დღეს განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, შენმა შექმნილმა კაცობრიობამ რომ დაგასხა ხელზე ბორკილი. ესეც შენი შრომის ნაყოფი — ღმერთი და კაცი. (სხვა ტონით) ნაკუწ-ნაკუწად დაგგლეჯ, როგორც მე ერთხელ დამიგლეჯე ეს ლოთი ბიჭი. (სხვა კილოზე) ნოე იყო პატიოსანი!

ო მ ო ს ი. — (ფამილარულად) შე კაცო, ნოე ერთი მევენახე იყო, წრეპავდა კიდეც. სხვა არაფერი, პრომეთე შენი შემქმნელია, კაცი — ტიტანი, უნდა დაუთმო!

ზ ე ვ ს ი. — უტიფარო მომოს, როგორ მინდა, მაგ ბილწ ენაში გაგიყარო თხლილის შამფური.

მ ო მ ო ს ი. — მერე, პირზე მომდგარი სიტყვა გადავყლაპო?

ზ ე ვ ს ი. — მაშ, როგორ ფიქრობ, აღარ დავსაჯო?

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — დასაჯე!...
(ყრუ-ბუნკვები, თავისებური ნიშნებით, დასჯას ეკბრობიან).

ზ ე ვ ს ი. — მოკკლა თუ გავასახლო?

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — მოკალი! გასახლებული კვლავ დაბრუნდება!

ზ ე ვ ს ი. — მაინც რატომ, შენ რას იტყვი, პანდორე?

პ ა ნ დ ო რ ე. — პრომეთეს ცეცხლს სითბო არა აქვს.... სითბო!..

ზ ე ვ ს ი. — ესე იგი, გინდოდა და — უარი გითხრა შენ, ეპიმეთე?

ე პ ი მ ე თ ე — რაც მითქვამს, კვლავ იმას ვიტყვი, — დედაჩემს ორი სულელი რომ გაეჩინა, ახლა ჩვენ ჩვენს ქოხებში ვიქნებოდით.

ზ ე ვ ს ი. — შენ, პრიაპოს?..

პ რ ი ა პ ო ს ი. — აპატე ყველაფერი: ცეცხლი, კაცის გაჩენა და იმ კაცებს ღვინოური მეტყველება რომ ჩაუდგა, ისიც აპატე, როცა მოგვესურვება, მაშინ წაგართმევთ ენას, ბოლოს და ბოლოს, ამოვკრით ენას! მაგრამ არის უმძიმესი დანაშაული, რომლის პატიება არაფრით არ შეიძლება, — ადამიანები სუნთქავენ!... გესმით, სუნთქავენ, ჩაისუნთქავენ — ამოისუნთქავენ. ე, ის ამოსუნთქვა არ აპატიო! საეჭვოდ სუნთქავენ, ღრმად სუნთქავენ! თავის კაცებს პრომეთე უკვდავებისკენ ეკიჩება. სიზარმაცე მაშინ იკითხეთ, თუ გაუკვდავდნენ — ხელს ალდა გაანძრევენ — ოხის რძეს შესვამენ. მთლად გადეჭამენ მოებსა და ველებს.

ზ ე ვ ს ი. — გაუკვდავების განზრახვა ჩვენს პირველ მკურნალს, თვით ასკლეპიოსსაც არ ვაპატე, მოვკალი.

პ რ ო მ ე თ ე. — სწორედ მოკეცულხარ! ყველა მოსაკლავია, ვინც მოკვდავის გაუკვდავებას გულში გაივლებს! ჩემს კაცებს სიცოცხლის ვადად საუკუნეც კი არ მივეცი. რა საბოროა? დამეყდება, დალეპება კაცი. მე გალმერთებამდე ვხოცავ ჩემს გაჩენილებს, რომ ხშირად იცვლობდეს აზრი მიწაზე.

ზ ე ვ ს ი. — ოო, რარიგად გმუსვარ!

პ რ ო მ ე თ ე. — გაუკვდავებამ მიგიყვანა ტირანიამდე, თავიდან წესიერი კაცი იყავი!

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — (შეუსწორებენ) კაცი კი არა — ღმერთი, მეხთამპყრობელი...

პ რ ო მ ე თ ე. — მეხთამპყრობელი — ტირანი!..

ზ ე ვ ს ი — მემფერები კიდევაც, — შენი სულელი ძმისგან და მისგან შეზ-ლილი ბოროტისაგან შექმნილი კაცობრიობა?!

პ ა ნ დ ო რ ე. — (სიტყვას ჩაჩრის) მე კაცობრიობის ბებიაც მეძახიან!

ზ ე ვ ს ი. — ჰა, ხომ გესმის, ორი სულელისგან წამოიწუ, გაამრავლე ქვეყნიერება. (სხვა ტონით) წამებით უნდა მოვკვდე, შენ გონებაჩლუნგ-ებს მ-ეცი ცეცხლი!

პ რ ო მ ე თ ე. — მივეცი წიგნი!

ზ ე ვ ს ი. — ხომალდის შენებაც შენ ასწავლე. გარეულ ხარსაც შენ დაადგი მძიმე უღელი, ცხენიც მოთოკე, ეტლში შეაბი — რა არ ასწავლე! ბოროტებასაც სწავლით ამრავლებ! არც ის გამომრჩეს, ცეცხლის ყულობით ქოხებში მწვადებსა სკამენ, მოლონიერდა ზენი პირუტყვი!

პ რ ო მ ე თ ე. — რაღომ პირუტყვი ,ღვთიური ენით თუ მეტყველებენ?!.

ზ ე ვ ს ი. — უზნეონი არიან!... რატომ სინდისი არ გაუღვიძე?!.

გ ლ ი ა თ ი. — ჰა, უკასუხე, უსინდისოდ რატომ დაგვაგდე?

ზ ე ვ ს ი.—ხომ გესმის, შენმა შექმნილმა რეგვენმა შენს მოსაკლავად სამი ვერცხლი არ იკმარა, ერთ მუჭას მოელის ჩემგან.

გ ლ ი ა თ ი. — გულში მიზიხარ, ღმერთების ღმერთო, ყველას უფროსო, რა კარგად ამბობ, თანაც ზეპირად — მამაშენის ნაჯღანებებშიაც არ იხედები. ერთი მუჭა სინდისი რომ მოეცა, აგშენდებოდით. ხალხო, ოქრო ყვითელია, ვერცხლი — თეთრი, სინდისი — მწვანე ყოფილა — ოქროზე მძიმე, ვერცხლზე ერიალა!

ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ე ბ ი. — ო, რა ლამაზია!..

გ ლ ი ა თ ი. — ერთი მუჭა სინდისი თურმე მთელ სიცოცხლეს ჰყოფნის — ვერ გაიმეტა!

ბაკქანალები. — (მუქარით) ოო, პრომეთე!..

პანდორე. — მოკალით!..

ზევსი. — ხედავ, სინდისი იქმევა თუ ისმევა, არც კი იციან..

ბაკქანალები. — (ყაყანით). იქმევა!... არა, ისმევა!... უსინდისოდ დაგვაგდო ყველა, მოკალი!

პანდორე — ერთი ნამეცი სინდისი ვერ გაიმეტა.

პრომეთე. — უბედურო ნათესავებო, ყოველმა კაცმან საკუთარი სინდისი შექმნას!..

რეგვენი. — რად უნდა შევქმნაო! შენი მოგვეცი!..

ბაკქანალები. — გაიმეტე, მოგვე სინდისი!..

ზევსი. — არც ახლა გჯერავს? — ყველი ერთთავად რეგვენებია, სხვისი სინდისით ფიქრობენ ყოფნას. სწორედ იმ ცეცხლით, მე ერთს რომ მეპყრა და თვალის ჩინივით ვიცავდი — გადაწვავენ ქვეყნიერებას. რა დაუშლით, თუ უზნეონი არიან. უზნეო უშიშარია — უმიზეზოს მიზეზს დასდებს, მიწას დახანძრავს.

პრომეთე. — სწორედ ის ცეცხლი, მისი ღვთიური ძალა გაანათებს გონებას.

ზევსი. — სოფიტი ხარ, მეკვრმეტყველი; პრომეთე, შინაარსი აკლია სიტყვას: ერთმანეთს ცეცხლით თუ დაერევნენ, ვინ შეიჩრებს?! ხომ გადაწვავენ ეზოს, სახლს, ტყესა და მინდორს.

პრომეთე. — ცეცხლს ეპყრობიან, როგორც ღვთიურ სინათლეს.

ზევსი. — როცა არ ჰქონდათ, მაშინ ეპყრობოდნენ ამ მოწიწებით, ახლა სულ სხვა ჩანს: კალიებივით გამრავლდა ხალხი, გამრავლებამ შეარყია ბუნებასთან ჩემი კავშირი, დაჩლუნგდა სმენა — ჩურჩულის ნაცვლად, ყაყანი მესმის, ყაყანებენ უსუსური შენი კაცები. წიოკობენ დედაკაცები. შენ, მათი შემქნელი — კეთილი ღმერთი — ვერცხლში გაგიცვალეს. კი არ სუნთქავენ — ჰაერს წამლავენ! ქვემოდან კვამლით ასთმა შემოარეს. რაღა იქნება ხვალ, არ გიფიქრია?! რისთვის დაგჭირდა უსუსურები, რეგვენები, გონებაჩლუნგი გოლიათები?!. ო, რა სისასტიკე გაგიჩენია! ნუთუ, არ დაგენანა, ერთი ხელის მოქნევით რომ გაიმეტე ღვთიური ცეცხლი?!

პრომეთე. — შემებრალენ უბედურები! ადრე გენახათ, ღვთიური სახის კაცი და ქალი მგლის ლეკვებივით სოროებში იტანჯებოდნენ. ვეღარ გავუძელ, ცრემლად ვიღვრებოდი მათი მნახველი.

ზევსი. — და მიეცი ცეცხლი!

პრომეთე. — დიახ, მივეცი!

ზევსი. — გაჩენამდე შეგბრალებოდა.

პრომეთე. — როგორ თუ გაჩენამდე?

ზევსი. — როგორც მე — სიბრალულით მოვსაე ისინი, რამეთუ უზნეონი იყვნენ! გაჩენამდე შევიცოდე, მოვსაე ისინი. და თუ გაარჩენ, კიდევაც უნდა ზღო. (სხვა ტონით) ან რატომ გგონია უბედურები, თუ კაბელები აქვთ, ხელზე კლანჭები, პირუტყვსაც კლავენ, თევზსაც იჭერენ?

პრომეთე. — პირუტყვს გაეოეყო, ცეცხლმა შექმნა გონიერი ადამიანი.

ზევსი. — ხედავ, ხელზე გასხია შრომის ნაყოფი. შენ, უზნეოს მიეცი ცეცხლი, ამიტომ დაგსჯი. აბა, ზნეობრივ ხელში ცეცხლი მთელ ქვეყანას აიკვლევდა!..

პრომეთე. — ცოდნას მივეკარით ზნეობისაკენ.

ზევსი. — ვიდრე მიხვალ?!. ვიდრე ირწმუნებ, შეიბრალებ და შეიყვარებ, ყოველ გარეწარს შეუძლია მიიღოს ცოდნა, გაბედოს რკინა და ბორკილებად დაგასხას ხელზე. ცოდნა ნდობას არ იმსახურებს, ზნეობაა ნდობის გვირგვინი! ჯერ ზნეობა და — მერე ცოდნა! მანამდელი გზა აღმაჩენებისა ზნეობამდე წინ შორეთია. განაჩენიც ამით დამთავრდა, შეცდომას სიკვდილი გამოიყენიხ!

პრომეთე. — ოღონდ, არა შეცდომით, — წვთია და — დაგვიან გონიერების სამყაროს მივეცი ცეცხლი!... და წარმოიშვა ახალი კაცი!..

ზევსი. — შედეგსაც ვხედავ: ტყეები იწვის, იწამლება მაღალი ზეცა და იმუქრება შენი შექმნილი „ახალი კაცი".

(ზევსი წამოდგება, კედერთხს მოიმარჯვებს, მაღლა ცაზე ქუხილი გადაიელის).

პრომეთე. — ნუ აჩქარდები, მე სიკვდილი არ მიწერია!

ზევსი. — მე ვარ შენი გამგებელი, მსაჯულადაც შენ ამირჩიე!

პრომეთე. — მაგრამ ვინ დაგამხობს შენ, მხოლოდ მე ვიცი.

ზევსი. — ჩემი დამამხობელი არ ჩანს, არც არასდროს გამოჩნდება!

პრომეთე. — ისიც ვიცი, რომელ საუოდან დაიბადება.

ზევსი. — დედის საუოდან დაბადებულმა დაამხოს ზევსი?! იქნებ, არ გესმის შენი სიტყვებიმ.

პრომეთე. — თუ გეტყვე, შენთვის საპირო აღარ ვიქნები, ისე, როგორც ჩემს ხალხს აღარ ვჭირდები.

ზევსი. — შენს წინასწარმეტყველებას დავიჯერებ ერთი პირობით, მითხარი: შენი განსჯის შემდეგ, რომელსაც ახლავე შეავსრულებ, სად წავალ მე?

პრომეთე. — ქალთან. გინდა ინ ქალის სახელსაც გეტყვი?

ზევსი. — ოღონდ ყურში მითხარი.

პრომეთე. — ყურში?

ზევსი. — ყურში... (პრომეთე ზევსთან მიდის, ჩასჩურჩულებს) სწორია!.. ახლა ისიც მითხარი, ვინ დამამხობს მე?..

პრომეთე. — გეტყვე, როცა სასჯელს მოვიხდი!

ზევსი. — მანამდე, მანამდე რა ვქნა — ვეღარ მოგკლავ?!.

პრომეთე. — ადრეც ვთქვი, მე სიკვდილი არ მიწერია!

ზევსი. — გაასახლეთ, ბორკილდასხმული გაამგზავრეთ კავკასიაში, კავკასიის იმ მაღალ მთაზე, სად წინაპრებს ხედავ, ორივე ხელით მიაჯაჭვეთ, რომ მოსვენება არ ექნეს, არც დღე, არც ღამე. ღვიძლის მკორტნელი არწივი მიეწინეთ, სიკვდილს ნატრობდეს და არ კვდებოდეს, კავკასიის მთიდან ამის კვნესა მესმოდეს, ადამიანებს შაშს უნერგავდეს. ოქროს ბიიგო, წაიყვანეთ!... მთელმა მსოფლიომ შეიტყოს, რომ ქვეყნისა და ზეცის ხელმწიფე ზევსმა ღვთიური ცეცხლის მატაცებისთვის დასაჯა კაცი, და ვაი იმ კაცს, ვინც მომავალში ხანძარს დაანთებს!...

პრომეთე, დაემშვიდობე შენს გაჩენილებს, იქნებ რამეს გვეტყვე!

პრომეთე. — რა უნდა ვთქვა — მე გავაკეთე!... ბორეულ კავკასიონზე კაცის წამება ისმოდეს ვითარცა ზარი!... ვიდრე დამყარდება ქვეყნად ზნეობა, მე ვეწამები ყველას მაგიერ!

ბაკქანალები. — (ბოცებულნი) ყველას მაგიერ?!.

ზევსი. — (წამოდგება) თუ მართალი ხარ, რატომ ეწამები სხვების მაგიერ?

პრომეთე. — ახეა უზნეანები კაცური წესი — მართალმა ზღოს მოიმრის ცოდვები.

ზევსი. — ბრძენო ტიტანო, პრომეთეო, ერთ დროს, ოდესღაც რომ ოქროს ტახტი მომაგებინე, ახლაც მიშველე! სთქვი, მხოლოდ ის ერთი, ტიტანური სიტყვა მაწიე — კაცობრიობის გაჩენა და მერე მის ხელში ცეცხლი შეცდომა იყო. თქვი, შეცადე-თქო! გაიმეტე ეს ორი სიტყვა დ, გაპატიებ.

პანდორე. — (ადგილიდან უკარნახებს) რა გენაღვლება, თქვი.

პრომეთე. — სინდისი?!

პანდორე. — მიაფურთხე!..

ზ ე ვ ს ი. — ხომ გესმის — მიაფურთხეო.

პ რ ო მ ე თ ე ს. — მე სინდისს თუ მივაფურთხე, რაღა იქნები შენ, არ გიფიქრია?

ზ ე ვ ს ი. — (ინტერესით) ჰო, ჰო, რა ვიქნები — არ მიფიქრია.

პ რ ო მ ე თ ე ს. — უნამუსო კაცობრიობის ღმერთო! ყველაზე დიდი უნამუსო!

ზ ე ვ ს ი. — სოფისტი ხარ, შე კაცო, შენთან კამათი ჭირის ოფლია, შენთან კოსმოსური სიმართლეა თავი და თავი.

პ რ ო მ ე თ ე ს. — სწორედ ამოსხენ, ჩემთვის არ არსებობს ზევსის სიმართლე, არც პრომეთესი, არცა იმ ლოთის: ყველა სიმართლე ერთ სიმართლედ უნდა შედუღდეს!..

ზ ე ვ ს ი. — იქნებ, სჯობდა უკამათოდ მომესმა, ა?..

პ რ ო მ ე თ ე ს. — რაც სჯობია, ის გააკეთე. (სხვა ტონით) შენ, თავდაჯერებით რომ მემუქრები, მგონი დაგავიწყდა — ჩემს კაცობრიობას შენი შექმნილი პანდორეს სისხლში აქვს ფესვი. ისიც გახსოვდეს — უმამო შვილები მომრავლდა მთაზე, გამრავლებას ხელი შეუწყე, სიტკბოთ ერთს ამბობ, საქმით სხვას!

ზ ე ვ ს ი. — ვინ დაგიდასტურებს?!

პ რ ო მ ე თ ე ს. — შენს ღმერთებსაც ვკითხოთ!

ზ ე ვ ს ი. — ჩემი ღმერთები, რასაც მე ვიტყვი, იმას ამბობენ. თვითონაც ხედავ კრიჭაშეკრულებს.

პ რ ო მ ე თ ე ს. — თუ ახეა, ჩემი ადამიანები გაცილებით ბედნიერები არიან, ვიდრე შენი ღმერთები, მოკვდავნი სიკვდილის შემდეგ მაინც თავისუფლდებიან, თქვენ სამოდამოდ მონობაში ხართ. (ზეაწეული ხმით) ხედავთ, ღმერთებო, უმჯობესია იყო ადამიანი!...

ზ ე ვ ს ი. — (კვერთხს მაღლა ასწევს) გაჩუმდი!... ესლა მაკლია — ღმერთების ბუნტი.

პ რ ო მ ე თ ე ს. — გათავისუფლების იმედით სიკვდილი სჯობს, ვიდრე მონობაში ცოცხლობდე მარად!... მთაქმევნე ბოლომდე სიტყვა, ღმერთო ხილულისა და უხილულისავ, და თქვენც ღმერთებო, ყველა ჯურის ბაკქანალები, გისმიდეთ ყველას: გაჩნდა ადამიანი!... და ეს არის მისი ერთადერთი დანაშაული. აბეტყველდა — ენა ჩაიდგა — არ გაჩუმდება, გამრავლებაც არ შეუწყდება! დაინთო ცეცხლი და — აღარ ჩაქრება! (სხვა ტონით, ზევსს) ცეცხლის ძალით ადამიანი თავის თავს მოსპობსო, ეს სისულელე რამ მოგაფიქრა?

ზ ე ვ ს ი. — (გაანჩხლებით) კავკასიაში!..

პ რ ო მ ე თ ე ს. — ბიიებო, სულ მაღლა, ყველას მაგიერ!... გამიძეთ ძველ სამშობლოში!..
(პრომეთე გადის, გზა აღმართზე მიემართება).
გავიდა ხანი

ე ფ რ ო. — (პათეტიკურად) ცეცხლს გაუფრთხილდითო! კავკასიონზე ჰყვირის პრომეთე!

ა გ ლ ა ი ა. — კაცი და ქალიც იმ ცეცხლმა შექმნა, კავკასიონზე ჰყვირის პრომეთე!

თ ა ლ ი ა. — ორი საწყისი ტრიალებს ცეცხლში!..

ე ფ რ ო. — ვითარცა ადამიანში, ჰყვირის პრომეთე!

მ ო მ ო ს ი. — (ფამილარობით) მეხთამპყრობელო, რამდენი ხნით გაასახლე პრომეთე?

ზ ე ვ ს ი. — სამუდამოდ.

მ ო მ ო ს ი. — იქნებ, მანამდე ის შენი დამამბობელი დაიბადოს, ხომ უნდა იცოდე მისი სახელი?

ზ ე ვ ს ი. — (ყვირილით) დაბრუნეთ!..

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — დაგაგვიანდა!

ზ ე ვ ს ი. — ცივა.

მ ო მ ო ს ი. — ზევსი არ მოკლავს პრომეთეს, რამეთუ პრომეთემ იცის, ვინ დაამხობს ზევსს და თუ პრომეთე იტყვის, ვინ დაამხობს ზევსს, ზევსს ვეღარავინ დაამხობს, და პრომეთემ თავისი შექმნილი ვეღარ დაამხო, ამირიდან პრომეთეს ეყოფა სიბრძნე, ზევსს მოთმინება და, იყვნენ ქვეყნად, ვიდრე ანათებს!...

ზ ე ვ ს ი. — ცივმა ნიავმა დაუბერა.
(ქარიტებს შარვლები და ზედა ტანსაცმელი შემოაქვთ, ქთავან ღმერთებს დაურიგებენ).

პ ა ნ დ ო რ ე. — მაკანკალებს!..

ზ ე ვ ს ი. — მომეცით რამე თბილი!

მ ო მ ო ს ი. — საიდან უბერავს?

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — ადგილმრავი ნიავია.

მ ო მ ო ს ი. — ეცე მომაწოდე.

დ ი ო ნ ი ს ე. — ეს რა არის?

პ ა ნ დ ო რ ე. — ჯინსის შარვლებია.

ზ ე ვ ს ი. — (შარვალს მოირგებს) ვინ შეკერაო?

პ ა ნ დ ო რ ე. — ზედა აქვს ფირმის ნიშანი: უკან, დუნდულზე.

ზ ე ვ ს ი. — და ჩვენ ჩავიცვათ?

პ ა ნ დ ო რ ე. — (ჩაიცვამს) ავ თვალს არ ენახება, მშვენიერია!..

ზ ე ვ ს ი. — მოუხმეთ ომის ღმერთს, ოქროს დარაჯებს, მე მოვსპობ ადამიანებს!

პ ა ნ დ ო რ ე. — ბაბუ, წინ ღილი შეიკარი!

ზ ე ვ ს ი. — შენ გეუბნები, იხმეთ არესი!..

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — აღარ შემიძლია, თითებზე კოფოფინები და ბერბერები წამომეზარდა, ჰერმესის მალფრთებიანი სანდლებიც გაცვდა.

ზ ე ვ ს ი. — ვინ შეატყობინებს, რომ ომის სარდალი მჭირდება ახლა?!

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — ჰა, ელაპარაკე!
(მოდური ჩანთიდან ტელეფონის აპარატს ამოიღებს, ზევსს წინ დაუდგამს).

ზ ე ვ ს ი. — რა არის ეს?

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — ელაპარაკე.
(ზევსმა ყურმილი აიღო. სინჯავს).

მ ძ ლ ა ვ რ ი ხ მ ა. — (ყურმილიდან) მე არესი ვარ, მაღალო ^ ზევსო, შენი სუნთქვა მესმის, რა გნებავს?

ზ ე ვ ს ი. — არაფერი. (შემცბარი ყურმილს დადებს, კვლავ აიღებს)

მ ძ ლ ა ვ რ ი ხ მ ა. — (ყურმილიდან) გისმენ!

ზ ე ვ ს ი. — არაფერი, არაფერი...
(ყურმილს დადებს, აპარატს ათვალიერებს).
ვინ გაარინა?

ჰ ე ფ ე ს ტ ო. — იქ, ქვემოთ, ვიყიდე.

ზ ე ვ ს ი. — ქვემოთ... ნეტა, რა ხანი გავიდა, თალიავ, სჯათს დახედე!

თ ა ლ ი ა. — მილიონი წელიწადი და რაღაც წუთები.

ზ ე ვ ს ი. — და — ცეცხლს ანთებენ?

თ ა ლ ი ა. — ცეცხლით შეიქმნა ყოველი.

ზ ე ვ ს ი. — (ინტერესით) ზნობა?

თ ა ლ ი ა. — ზნეობისათვის ახლაც ომობენ, განურჩევლად ერთმანეთს ყლეტენ.

ზ ე ვ ს ი. — და მაინც ცოცხლობენ?

თ ა ლ ი ა. — აბა, რა ქნან?...

ე ფ რ ო. — უკუნითი უკუნისამდე...
(ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე გაუნძრეველად და დაძაბულად სხედან).

დასასრული